

## Interpretations of Carlo Goldoni's Comedies

### კარლო გოლდონის კომედიების ინტერპრეტაციები

Lela Tsiphuria

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Assistant-Professor

+995 599654980, lela.tsiphuria@tsu.ge

**Abstract.** The performing of comedies of Italian playwright Carlo Goldoni has played a significant role in the repertoire of the 20<sup>th</sup> century Rustaveli Theater. Plays of the famous comedian was also staged by famous Georgian director Dimitri Aleksidze.

In the twentieth century comedies of Carlo Goldoni were staged by Dimitri Aleksidze in the Rustaveli Theater: *The Mistress of the Inn* performed in 1936 was an unprecedented success.

The period of Goldoni staging in Rustaveli theater was a very tragic time in the history of Georgia. In 1936, when Dimitri Aleksidze staged *The Mistress of the Inn* was the starting period of Soviet repressions in Georgia. *The Marriage Contest (IL matrimonio per concorso)*, Goldoni's comedy was staged in 1942, during the World War II. The name of this comedy at Rustaveli theater was *The Bride with the Poster*. The year 1942 was the most difficult year during the Second World War. Hitler had conquered half of the Soviet Union, and the fascist army was standing in the Caucasus. The number of young people who went to war from Georgia was seven hundred thousand. Many families had already received the notification of the death of their children... The absurd situation of Goldoni's play in Dimitri Aleksidze's staging was distinguished by its comical and revealing pathos. If you add the true fireworks of the play, it becomes clear why during the most difficult period of the Second World War, *The Bride with the Poster* was sold out for several years.

And the third play staged by Dimitri Aleksidze was *The Servant of Two Masters* in 1946. The whole period of performing these plays was tragic. Hopeful comedies of Goldoni staged by Dimitri Aleksidze created a brilliant plays at the Rustaveli Theater, and because of that "Goldoniada" was very popular.

The paper uses materials preserved in the Rustaveli Theater Museum, memories of 20<sup>th</sup> century theater workers about Dimitri Aleksidze, analytical texts of famous theater experts, etc.

**Keywords:** Goldoni; Rustaveli theatre; comedy; Aleksidze; twentieth century.

ლელა წიფურია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ასისტენტ-პროფესორი

+995 599654980, lela.tsiphuria@tsu.ge

**აბსტრაქტი.** იტალიური კომედიის კლასიკოსის, კარლო გოლდონის პიესების მიხედვით გახორციელებულ დადგმებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული თეატრის ისტორიაში. დიმიტრი ალექსიძის მიერ დადგმულ კარლო გოლდონის პიესებს ალექსიძის „გოლდონიადა“ უწოდეს თეატროლოგებმა.

დიმიტრი ალექსიძის მიერ 1936 განხორციელებულ კარლო გოლდონის „სასტუმროს დიასახლისს“ უპრეცედენტო წარმატება ხვდა წილად.

1936 წელი ტრაგიკული პერიოდი იყო საქართველოს ცხოვრებაში - მორიგი რეპრესიების პერიოდი იწყებოდა. 1937 წელს რეპრესიები კულმინაციას აღწევს. თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ჯგუფთან დადგმული „სასტუმროს დიასახლისი“ სრული ანშლაგით მიდიოდა. რეპრესიებით დათრგუნული ქართველი ხალხი კომედიის ნახვით თვითგადარჩენის გზას ეძებდა თითქოს. მოგვიანებით ამ სამსახიობო ჯგუფის საფუძველზე შეიქმნა ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

1942 წელს რუსთაველის თეატრში გოლდონის პიესა დაიდგა სათაურით „საპატარძლო აფიშით“. 1942 წელი ყველაზე რთული წელი იყო მეორე მსოფლიო ომის მსვლელობის პერიოდში. ჰიტლერს ნახევარი საბჭოთა კავშირი დაპყრობილი ჰქონდა და ფაშისტური არმია კავკასიონს იყო მომდგარი. საქართველოდან ომში წასული ახლგაზრდების რიცხვი შვიდასი ათასი იყო. უკვე მრავალ ოჯახს ქონდა მიღებული შვილის დაღუპვის უწყება... გოლდონის პიესის აბსურდული ვითარება დიმიტრი ალექსიძის დადგმაში კომიკურთან ერთად, მამხილებელი პათოსითაც გამოირჩეოდა. თუ დავუმატებთ სპექტაკლის ჭეშმარიტ ფეიერვერკულობას, ცხადია, გასაგები გახდება, თუ რატომ გადიოდა მეორე მსოფლიო ომის ყველაზე რთულ პერიოდში „საპატარძლო აფიშით“ სრული ანშლაგით რამდენიმე წლის განმავლობაში.

გოლდონის მესამე პიესა, რომელიც დიმიტრი ალექსიძემ დადგა 1946 წელს, იყო „ორი ბატონის მსახური“. რეპრესიებისა და ომის ურთულეს წლებში დიმიტრი ალექსიძის სიხალისით, ფანტაზიით და გამომგონებლობით სავსე სპექტაკლებს იმედის სხივი შემოქონდათ მაყურებელთა გულელებში და უდიდესი პოპულარობით სარგებლობდნენ.

სტატიაში გამოყენებულია რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცული მასალები, XX საუკუნის თეატრის მოღვაწეთა მოგონებები დიმიტრი ალექსიძის შესახებ, ცნობილი თეატროლოგების ანალიტიკური ტექსტები და ა.შ.

ოთხმოცდარვა წელი გვაშორებს დიმიტრი ალექსიძის გოლდონიადის დაწყებიდან. ორმოცი წელი გავიდა მისი გარდაცვალებიდან. ქართული თეატრის ისტორიაში კი რეჟისორმა სრულიად გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა. გოლდონიადა მნიშვნელოვანია რეჟისორის ბიოგრაფიაში, უპირველეს ყოვლისა იმის გამოც, რომ მისით იწყება დიმიტრი ალექსიძის წარმატებული მოღვაწეობა ქართულ თეატრში. თაობათა იძულებითი ჩანაცვლების პროცესი, რომელიც სანდრო ახმეტელის დახვრეტის შემდგომ მოხდა რუსთაველის თეატრში, ამ კომედიებით, თითქოს ერთგვარი სიცოცხლის და ოპტიმიზმის ნაკადით შემოვიდა და ასევე იქცა ქართველი მაყურებლის ერთგვარად სიყვარულის, სიხალისის და ოპტიმიზმის წყაროდ. ამიტომაც იყო გოლდონიადა უმნიშვნელოვანესი პერიოდი ქართული თეატრის ისტორიაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დიმიტრი ალექსიძის მიერ კარლო გოლდონის პიესების ინტერპრეტაციებით ქართული თეატრის ისტორიაში შეიქმნა სრულიად უნიკალური სტილი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ქართულ სათეატრო ხელოვნებაში კომედიური ჟანრის დამკვიდრებასა და განვითარებაზე. როგორც უკვე აღვნიშნე, XX საუკუნის პირველი ნახევრის ალექსიძისეული დადგმები იმ პერიოდის ურთულეს პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებაში, ერთგვარად უმსუბუქებდა რუსთაველის თეატრში მისულ მაყურებელს უმძიმეს ყოფას. ამასთანავე, ეს მაღალმხატვრული დადგმები იყო და სწორედ ამ რანგის წარმოდგენებად დარჩა ქართული თეატრის ისტორიაში.

უმთავრესი შედეგი ის არის, რომ კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად, დიმიტრი ალექსიძის თანამედროვეთა მოგონებების და თეატროლოგთა ციტატების და რუსთაველის თეატრის მუზეუმის ექსპონატების ანალიზით შეიქმნა ერთიანი სურათი დიმიტრი

ალექსიძის გოლდონიადისა, როგორც განსაკუთრებული მოვლენისა ქართულ სათეატრო ხელოვნების ისტორიაში, რომელის კვალიც დღემდე მოყვება ჩვენს კულტურას.

კიდევ ერთი შედეგი, რომელიც ჩემთვის, როგორც ლექტორისთვის ძალიან მნიშვნელოვანია: თანამედროვე ახალგაზრდები პრაქტიკულად არ იცნობენ დიმიტრი ალექსიძის შემოქმედებას. ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი შესანიშნავი რეჟისორის, დიმიტრი (დოდო) ალექსიძის შემოქმედებით ახალგაზრდების დაინტერესება იქნება.

**საკვანძო სიტყვები:** გოლდონი; რუსთაველის თეატრი; კომედია; ალექსიძე; მეოცე საუკუნე.

**შესავალი.** კარლო გოლდონი თეატრის რეფორმატორად და იტალიური რეალისტური კომედიის ფუძემდებლად არის მიჩნეული თეატრის ისტორიაში, რომლის შემოქმედების შესახებ არაერთი ვრცელი ნაშრომი არსებობს. გოლდონის კომედიებმა მსოფლიოს მრავალი თეატრის რეპერტუარში დაიმკვიდრეს ადგილი და დიდი როლი შეასრულეს კომედიური ჟანრის წარმატებაში ამა თუ იმ ქვეყნის ხელოვნებაში. ჩვენი კვლევის მიზანია იტალიური კომედიის კლასიკოსის, კარლო გოლდონის დიმიტრი ალექსიძისეული ინტერპრეტაციების შესწავლა და მათი ისტორიული მნიშვნელობის შეფასება. სტატიაში გამოყენებულია რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცული მასალები, მეოცე საუკუნის თეატრის მოღვაწეთა მოგონებები დიმიტრი ალექსიძის შესახებ, ცნობილი თეატროლოგების ანალიტიკური ტექსტები და ა.შ. გამოყენებული მასალა გაანალიზებულია კონკრეტული ეპოქის პოლიტიკური და სოციალური ვითარების ფონზე. ამ მეთოდოლოგიის საშუალებით, ერთი მხრივ, იქმნება ეპოქის სურათი და მეორე მხრივ, ფასდება ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც გოლდონის პიესების ალექსიძისეულმა ინტერპრეტაციებმა შეასრულეს საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში.

**კვლევის მეთოდოლოგია.** როდესაც ნაშრომი ისტორიულ თემაზე და პიროვნებაზე იწერება, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, მისი არქივის შესწავლა და მასალის მოპოვებაა ძირითადი მეთოდოლოგია, რომელსაც შემდგომში სტატიაში ვაანალიზებთ. რუსთაველის თეატრში დიმიტრი ალექსიძის დიდი და შესანიშნავად მოვლილი არქივია. სტატიაში არქივში მოპოვებული მასალის გაანალიზება და სტატიის ნაწილებად გარდაქმნა ქრონოლოგიის მიხედვით ხდება. ამგვარად, თანმიმდევრობით ვახორციელებ დიმიტრი ალექსიძის დადგმული გოლდონის პიესების რეკონსტრუქციას.

რეკონსტრუქცია, თავისთავად ორი მიმართულებით იმლება: 1. სპექტაკლი - დიმიტრი ალექსიძის დადგმული კომედიები - როგორც საზოგადოების აზროვნების ნაწილი; 2. სტრუქტურალიზმი - ამ სპექტაკლიების როლი და ფუნქცია სახელმწიფოებრივ და საზოგადოების სოციო-კულტურული ცხოვრების ფორმირების პროცესში. სტატიაში დასკვნის სახით მოცემულია კარლო გოლდონის კომედიების დიმიტრი ალექსიძისეული ინტერპრეტაციების ისტორიული მისიის შეფასება და ამ მისიის თანამედროვე ხედვა.

ნარატოლოგიური მეთოდის საშუალებით, სტატიაში ვყვები კონკრეტული წარმოდგენის ისტორიულ პროცესულ ვითარებას. სტატიაში გამოყენებული ცნობილი პიროვნებების მოგონებები, რომლებიც მოგვითხრობენ ამა თუ იმ სპექტაკლის შესახებ, ნარატოლოგიური მეთოდის მეშვეობით ვრცელ წარმოდგენას უქმნის მკითხველს განხილული წარმოდგენის შესახებ.

და უმთავრესი მეთოდი - ანალიზი, რომელიც გვაბრუნებს ისტორიულ სინამდვილეში და თანმიმდევრულად აყალიბებს დიმიტრი ალექსიძის მიერ დადგმული გოლდონის კომედიების მნიშვნელობას ქართული თეატრის ისტორიაში. ჩემი სტატია ამ მეთოდოლოგიითაა დაწერილი.

გოლდონის პიესების მიხედვით გახორციელებულ დადგმებს გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართული თეატრის ისტორიაში. დიმიტრი ალექსიძის მიერ დადგმულ კარლო გოლდონის პიესებს ალექსიძის „გოლდონიადა“ უწოდეს თეატროლოგებმა. თეატროლოგი ნოდარ გურაბანიძე ასე აფასებს დიმიტრი ალექსიძის შემოქმედებას: „მოცე საუკუნის ქართული თეატრის კორიფეთა შორის ერთ-ერთი უპირველესია დიმიტრი (დოდო) ალექსიძე - უნიჭიერესი, ღრმად განათლებული რეჟისორი, პედაგოგი, თეატრის თეორეტიკოსი, რომლის სახელთან დაკავშირებულია ჩვენი, და დავძენთ, უკრაინული ხელოვნების მთელი ეპოქა, გაბრწყინებული მისი სცენური შედეგები...“

„ყველაზე მეტად მანცვიფრებდა მისი პლასტიკის მრავალფეროვნება და ფანტაზიის მართლაც დაუშრეტელი ამოფრქვევანი. ერთი და იმავე ეპიზოდის უამრავი, ერთმანეთთან უკეთესი ვარიანტის შექმნა შეეძლო, ხანდახან გინდოდა გეყვირა პარტერიდან - კმარა, ბრწყინვალეა, რაც უკვე შექმენით, ბატონო დოდო, ნუ ეძებთ სხვას, უკეთესს ვერაფერს მიაგნებთ... ამის გაფიქრებასაც ვერ მოასწრებდი, რომ ახალი და, მართლაც, უკეთესი ვარიანტი მზად იყო... ალბათ დოდო ალექსიძის ეს თვისება ჰქონდა მხედველობაში დიდ აკაკი ვასაძეს, რომელმაც ერთ-ერთ რეპეტიციაზე აღტაცებით თქვა: „მე ასეთი ნიჭის რეჟისორი არ მინახავსო“.

ალექსიძის მიერ დადგმული რამდენიმე სპექტაკლი დღესაც შედეგადაა მიჩნეული, ხოლო მის მიერ აღზრდილი მსახიობები (რომელთა შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე, კოტე მახარაძე, გიორგი გეგეჭკორი, გურამ საღარაძე, სვეტლანა კორკოშკო) დიდხანს ბრწყინავდნენ სცენაზე, და ასევე შემდგომ თაობათა რეჟისორების სპექტაკლების მშვენიერებასაც წარმოადგენდნენ“ (გურაბანიძე, 2010).

დიმიტრი ალექსიძის მიერ 1936 წელს განხორციელებულ კარლო გოლდონის „სასტუმროს დიასახლისს“ უპრეცედენტო წარმატება ხვდა წილად.

1936 წელი ურთულესი პერიოდი იყო საქართველოს ცხოვრებაში. საქართველოში მორიგი რეპრესიების პერიოდი იწყებოდა.

როგორც დიმიტრი ალექსიძე იგონებს, მან რუსთაველის თეატრში აკაკი ხორავას თხოვნით დაიწყო მუშაობა. ვითარება, რომელიც იმხანად სუფევდა, ჭეშმარიტად ტრაგიკული იყო: ის-ის იყო, დააპატიმრეს ალექსანდრე ახმეტელი. ყველგან შიში და გაურკვეველობა სუფევდა. უაღრესად იყო გახშირებული დასმენა, ცილისწამება. ადამიანები ერთმანეთს ვეღარ ენდობოდნენ და ამისი დიდი საფუძველიც ჰქონდათ: არავინ იცოდა, ვის სახლთან გაჩერდებოდა შინსახკომის ავტო, რომლითაც ახალდაპატიმრებულები მიჰყავდათ. საუკეთესო შემთხვევაში, ამ პატიმრებს ხანგრძლივი დროით სვამდნენ ციხეში ან ასახლებდნენ, უარეს შემთხვევაში კი ხვრეტდნენ ტროიკის განაჩენით.

და რა დროს კომედია იყო, თანაც ასეთი სილალის და სიხალისის შემცველი? 1937 წელს რეპრესიები კულმინაციას აღწევს. აჭარის სამსახიობო ჯგუფთან დადგმული „სასტუმროს დიასახლისი“ კი სრული ანშლაგით მიდის... რეპრესიებით დათრგუნული ქართველი ხალხი კომედიის ნახვით თვითგადარჩენის გზას ეძებდა თითქოს.

„რატომ ავირჩიე „სასტუმროს დიასახლისი“? - წერდა დიმიტრი ალექსიძე რუსთაველის თეატრის გაზეთში. - იმიტომ, რომ გოლდონის პიესა თავისი საინტერესო სცენური მდგომარეობით, შინაგანი დინამიკურობით, ინტიმით, ლირიკით, უაღრესად ცოცხალი, მოძრავი პერსონაჟებით ახალგაზრდა მსახიობების უნარიანობის და ნიჭის ყოველმხრივი გამოვლენის საშუალებას იძლევა. ჩვენი სპექტაკლის მიზანს შეადგენს ხაზი გაუუსვათ ძირითადად სოციალურ მომენტს... ჩვენ ვცადეთ მოგვეცა სპექტაკლი თავისი მზიური ფორმით, ახალგაზრდული სიცოცხლით სავსე, ისეთივე მრავალფეროვანი, როგორც პიესის ავტორის სამშობლოს მომხიბლავი ბუნება“ (კიკნაძე, 1978: 22).

აი, როგორ აფასებს თეატროლოგი ვასილ კიკნაძე დიმიტრი ალექსიძის სპექტაკლს: „სპექტაკლი მზიით, ტემპეტემენტითა და სიჯანსაღით იყო სავსე. სოციალურად მძაფრი

სცენები რეჟისორმა საგანგებოდ მკვეთრ მიზანსცენებში გამოხატა და ზუსტი ლოგიკური აქცენტები გაუკეთა. სანახაობა და იდეურობა ერთმანეთს ბუნებრივად შეერწყა და ჩვენს წინ გადაიშალა კომედიური გონებამახვილობით, ძლიერი ირონიით და ფაქიზი ადამიანური ვნებებით სავსე წარმოდგენა. ბევრმა მსახიობმა ამ დღეს მიიღო აქტიორული ნათლობა“ (კიკნაძე, 1978: 22).

მოგვიანებით ამ სამსახიობო ჯგუფის საფუძველზე შეიქმნა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

და ისევ და ისევ, ერთი შეხედვით სრულიად შეუსაბამო დრო კომედიის დადგმისთვის - 1942 წელი, ყველაზე რთული წელი მეორე მსოფლიო ომის მსვლელობის პერიოდში. ჰიტლერს ნახევარი საბჭოთა კავშირი დაპყრობილი ჰქონდა და ფაშისტური არმია კი კავკასიონს იყო მომდგარი. საქართველოდან ომში წასული ახლგაზრდების რიცხვი შვიდასი ათასი იყო. უკვე მრავალ ოჯახს ქონდა მიღებული შვილის დაღუპვის უწყება...

რუსთაველის თეატრში კი დიმიტრი ალექსიძის რეჟისურით გოლდონის პიესა დაიდგა, სათაურით „საპატარძლო აფიშით“. *“IL matrimonio per concorso”*, „საქორწინო კონკურსი“ - ასე ითარგმნება სიტყვასიტყვით გოლდონის პიესის სათაური. პიესის სიუჟეტი უამრავ უაღრესად კომიკურ პერიპეტეიას შეიცავს. მოქმედება XVIII საუკუნის პარიზში ხდება. იტალიელი ვაჭარი პანდოლფო საკუთარი ქალიშვილის გათხოვების მიზნით კონკურსს აცხადებს. და ამ მართლაც უაღრესად კომიკური სიტუაციის სცენოგრაფიის მთავარი კონსტრუქცია უზარმაზარი კიბე ხდება, ირაკლი გამრეკელის მიერ შექმნილი. ირაკლი გამრეკელი იმ პერიოდისთვის ყველასთვის ცნობილი დადგმების, ახმეტელის შედევრების მხატვარი იყო, დიმიტრი ალექსიძე კი ახალგაზრდა რეჟისორი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სამწუხაროდ ირაკლი გამრეკელის ბოლო ნამუშევარი იყო. ალბათ, რომ ეცოცხლა, უცილობლად გაგრძელდებოდა დიმიტრი ალექსიძესთან ერთად წარმატებული თანამშრომლობა...

„მხიარული მუსიკის შესატყვისად, რუსთაველის თეატრის მძიმე, ხავერდოვანი ფარდის ნაწილები მსუბუქად დაშორდნენ ერთმანეთს. მათ უკან, მწიფე შინდისფერ კედელზე თითქოს ვიღაცას ძველებური, XVIII საუკუნის ფრანგ ოსტატთა ნაკეთები, მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული მაგიდის სარკე მოუყუდებია. ამ სარკეში ორსართულიანი სასტუმროს ჭრილი მოჩანდა. მარცხნივ, ზემოდან ჩამოდიოდა მსუბუქი, კუთხეებში მომრგვალებული კიბე. კიბე სახურავიდან იწყებოდა, გაივლიდა იმ ოთახების წინ, რომლებშიც პიესის წამყვანი პერსონაჟები ცხოვრობდნენ, შემდეგ ქვემოთ ჩამოუხვევდა და იატაკს უერთდებოდა. ამგვარად, ამ კიბის საშუალებით მხატვრის მიერ ადვილად და უმტკივნეულოდ იქმნებოდა სცენაზე სამი სართული, ამ სართულების დამაკავშირებელი რაიმე სხვა საშუალება, გარდა ამ კიბისა არ იყო. ამიტომაც სწორედ აქ, სწორედ ამ კიბეზე ასვლა-ჩასვლაში ხვდებოდა ყველა, ვისაც კი რაიმე კავშირი ჰქონდა ამ სასტუმროსა და მის მცხოვრებლებთან. აქ ეძებდნენ ერთმანეთს გზააზნეული სატრფოები და მათი შემფოთებული მამები, აქ ეძებდნენ სენსაციის მოყვარული პარიზელები აფიშით გამოცხადებულ საპატარძლოს. აქ სწორედ იმის გამო, რომ ყველა ამ კიბეზე ხვდებოდა ერთმანეთს და ერთმანეთს მაინც ვერ პოულობდნენ, ისედაც სასაცილო ამბავი კიდევ უფრო სასაცილო ხდებოდა“ (ურუშაძე, 1978: 165).

კარლო გოლდონიმ „საქორწინო კონკურსი“ (სათაურის ზუსტი თარგმანი) დაწერა მას შემდეგ, რაც კარლო გოცისთან დრამატურგიული ბრძოლა წააგო და იძულებული გახდა, ვენეციიდან წასულიყო. არისტოკრატი გოცისგან განსხვავებით, გოლდონი დიდი სიმპატიით იყო განწყობილი ვაჭართა წრისადმი. ამ გარემოებას გოცი, ცხადია, ფრიად ცინიკურად აღიქვამდა. კომედია დელ არტეს პრინციპებიც სხვადასხვაგვარად იყო გააზრებული მათ შემომქმედებაში. გოლდონისეული პერსონაჟები, კომედია დელ არტეს

პერსონაჟების მსგავსად, უაღრესად მიწიერი არიან გოცის ზღაპრული გმირებისგან განსხვავებით.

გოლდონის პიესის აბსურდული ვითარება დიმიტრი ალექსიძის დადგმაში კომიკურთან ერთად, მამხილებელი პათოსითაც გამოირჩეოდა. მოგვხსენებათ, პანდოლოფო ვაჭართა წრის წარმომადგენელი იყო და სასტუმროს მცხოვრებთა უმეტესობა სწორედ მემქანური საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ. საბჭოთა კავშირში ვაჭართა წრის კრიტიკას, მათ გაშარჟებას და სასაცილოდ აგდებასაც კი ფრიად დადებითად აღიქვამდა ცენზურა. ხოლო ცენზურას არც ომის გამო მოუდუნებია ყურადღება, მით უმეტეს სტალინურ ეპოქაში. აი, როგორ აფასებს თავად ბრწყინვალე მსახიობი აკაკი ვასაძე კომპოზიტორის და მსახიობების ნამუშევარს: „კომედიური მჩქეფარებით გამოირჩეოდა რევაზ გაბიჩვაძის მუსიკაც: ეს იყო მაყურებლის ერთ-ერთი საყვარელი სპექტაკლი რამოდენიმე სეზონის განმავლობაში. ემანუელ აფხაიძის უცნაური ვაჭრის - პანდოლოფოს სახე ერთ-ერთი მაღალმხატვრული ქმნილებაა ამ მაღალნიჭიერი მსახიობების მიერ შექმნილ კომიკურ სახეთა შორის. მას მხარს უმშვენივრდა შესანიშნავი ანსამბლი ახალგაზრდა მსახიობებისა: ტრავესინი - ალექსანდრე კუპრაშვილი, ფილიპო - ნოდარ ჩხეიძე, ალბერტო ალბიჩინი - ვალერიან დოლიძე, ლიზეტა - რუსუდან ბერიძე, თამარ თეთრაძე, მადამ ფონტენი - ალექსანდრა თოიძე, დორა - თამარ თარხნიშვილი, ბიჭი სტამბიდან - მედეა ჩახავა, ანსელმო - ლადო ადამიძე და სხვები“ (ვასაძე, 1978: 78-79).

თუ დავუმატებთ სპექტაკლის ჭეშმარიტ ფიერვერკულობას, ცხადია, გასაგები გახდება, თუ რატომ გადიოდა მეორე მსოფლიო ომის ყველაზე რთულ პერიოდში „საპატარძლო აფიშით“ სრული ანშლაგით რამდენიმე წლის განმავლობაში....

კარლო გოლდონის მესამე პიესა, რომელიც დიმიტრი ალექსიძემ განახორციელა, იყო „ორი ბატონის მსახური“. თავდაპირველად 1938 წელს პიესა საქცინმრეწვთან არსებულ აქტიორულ სტუდიაში დადგა. როგორც რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი იგონებს, ამ შესანიშნავმა დადგამმა უდიდესი როლი შესასრულა მის არჩევანში, გამხდარიყო რეჟისორი.

1946 წელს „ორი ბატონის მსახური“ დიმიტრი ალექსიძემ რუსთაველის თეატრში დადგა. უნდა ითქვას, რომ ეს სპექტაკლი, ნამდვილად დაუმსახურებლად, ერთგვარად დაუფასებელიც კი აღმოჩნდა დიმიტრი ალექსიძის მკვლევრებისგან. მიხეილ თუმანიშვილი დიმიტრი ალექსიძის შესახებ წერდა: „როცა დიმიტრი ალექსიძის შემოქმედებაზე ლაპარაკობენ, არავინ ახსენებს ამ სპექტაკლს, ჩემი აზრით კი, ალექსიძის ეს სპექტაკლი იყო რეჟისორის საუკეთესო, ჭეშმარიტად ალექსიძისეული ნამუშევარი... რეპეტიციების დროს ყველაზე მეტად ის მხიარულობდა, ყველაზე ბედნიერი კაცი იყო ამ ქვეყნად, მსახიობებსაც და უცხო ადამიანებსაც (ასეთები მრავლად იყვნენ მის რეპეტიციაზე) გადასცემდა თავის განწყობას. იგი გატაცების ადამიანია, მას ჰაერივით სჭირდება მაყურებელი. ალექსიძე ის რეჟისორია, რომელსაც რეპეტიციაზე მაყურებელი სჭირდება. მაყურებელი მას სიცოცხლეს ანიჭებს, ფანტაზიას უღვიძებს, ბედნიერია იგი, როცა თეატრალური იმპროვიზაციის მჩქეფარე დინებაში ხვდება“ (თუმანიშვილი, 1978: 82-83).

ცნობილი კრიტიკოსი გუგული ბუხნიკაშვილი რუსულენოვან გაზეთში, „ზარია ვოსტოკაში“ წერდა: „სპექტაკლი ვენეციის კარნავალით იწყება და მოქმედი პირები თითქოს აღმოცენდებიან ნიღბების საერთო მასიდან. ეს სიმბოლურად გამოხატავს ცნობილ სიახლოვეს „ორი ბატონის მსახურსა“ და ნიღბების თეატრს შორის... მთავარ, ტრუფალდინოს როლში, გამოდის ახალგაზრდა მსახიობი ზ. მაჩაბელი. ტრუფალდინო არის ცოცხალი კონკრეტული შინაარსით ძველი ნიღაბი არლეკინისა... ზ. მაჩაბელის სამსახიობო მონაცემები შესანიშნავად უხდება ამ როლს. ის ასრულებს მას საჭირო სიმკვირცხლით და ტემპერამენტით... გარკვეულ მომენტებში მას სახეზე გამომეტყველება შეეყინება, თითქოს შეშდება გრიმასაში. ნიღაბი, თითქოს როლის წარმომავლობაზე

მიგვითითებს. შესაძლოა ეს ხერხი რამდენადმე არღვევს შესრულების რეალისტურ ხასიათს, მაგრამ თავისთავად საინტერესოა“ (ბუხნიკაშვილი, 1946).

მინდა აღვნიშნო კიდევ ორი უმნიშვნელოვანესი ასპექტი დიმიტრი ალექსიძის მოღვაწეობისა - ის იყო 3 შესანიშნავი წიგნის ავტორი და ასევე არაერთი თაობის აღმზრდელი ბრწყინვალე პედაგოგი. მან მრავალი მართლაც შესანიშნავი მსახიობი აღზარდა, ხოლო რეჟისურაში თემურ ჩხეიძის სახელიც იკმარებს მისი პედაგოგობის შესაფასებლად.

მსოფლიოში ცნობილი რეჟისორი გიორგი ტოვსტონოგოვი წერდა: „როცა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში ვმუშაობდი, სადაც ორივეს მიგვყავდა კურსი, ხშირად გადავყრივართ შემოქმედებით მიმართულებას, რომელსაც არაფერი ქონდა საერთო იმასთან, რასაც ინსტიტუტში გვასწავლიდნენ. ამან დაგვაახლოვა და გაგვაერთიანა. ერთი სკოლისანი ვიყავით, ერთი მრწამსისა და თუმცა სტილისტურად ერთმანეთისგან განვსხვავდებოდით, მაგრამ ერთმანეთის ხელწერას მუდამ პატივს ვცემდით. ყოველი ჩვენი შეხვედრა შემოქმედებით ძიებათა გაზიარება იყო. სწორედ ამ პერიოდში დავაფასე დოდოს შესანიშნავი ადამიანური თვისებები: ურთიერთობაში საოცრად მომხიბვლელი ადამიანი, იუმორითა და სიცოცხლის ხალისით სავსე მოსაუბრე“ (ტოვსტონოგოვი, 1978: 161).

დიმიტრი ალექსიძის გოლდონიადა მისი შემოქმედების ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება, პირველ ათწლეულს. შემდეგ მას გოლდონის პიესა საქართველოში აღარ დაუდგამს. სამაგიეროდ დგამდა ტრაგედიებსა და დრამებს, ხანდახან კომედიებსაც. მხოლოდ ერთ სპექტაკლს აღვნიშნავ, „ოიდიპოს მეფეს“, რომელიც რუსთაველის თეატრის რეპერტუარის მშვენიერად ითვლებოდა.

ოთხმოცდარვა წელი გვაშორებს დიმიტრი ალექსიძის გოლდონიადის დაწყებიდან. ორმოცი წელი გავიდა მისი გარდაცვალებიდან. ქართული თეატრის ისტორიაში კი სრულიად გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა. რეპერესიებისა და ომის ურთულეს წლებში დიმიტრი ალექსიძის სიხალისით, ფატაზიით და გამომგონებლობით სავსე სპექტაკლებს იმედის სხივი შემოქონდათ მაყურებელთა გულელებში და უდიდესი პოპულარობით სარგებლობდნენ. გოლდონიადა გამორჩეულია რეჟისორის ბიოგრაფიაში უპირველეს ყოვლისა იმის გამოც, რომ მისით იწყება დიმიტრი ალექსიძის წარმატებული მოღვაწეობა ქართულ თეატრში. თაობათა იძულებითი ჩანაცვლების პროცესი, რომელიც სანდრო ახმეტელის დახვრეტის შემდგომ მოხდა რუსთაველის თეატრში, ამ კომედიებით, თითქოს ერთგვარი სიცოცხლის და ოპტიმიზმის ნაკადით შემოვიდა და ასევე იქცა ქართველი მაყურებლის ერთგვარად სიყვარულის, სიხალისის და ოპტიმიზმის წყაროდ. ამიტომაც იყო გოლდონიადა უმნიშვნელოვანესი პერიოდი ქართული თეატრის ისტორიაში.

**დასკვნის სახით** შეიძლება ითქვას, რომ დიმიტრი ალექსიძის მიერ კარლო გოლდონის პიესების ინტერპრეტაციებით ქართული თეატრის ისტორიაში შეიქმნა სრულიად უნიკალური სტილი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ქართულ სათეატრო ხელოვნებაში კომედიური ჟანრის დამკვიდრებასა და განვითარებაზე. როგორც უკვე აღვნიშნე, XX საუკუნის პირველი ნახევრის ალექსიძისეული დადგმები იმ პერიოდის ურთულეს პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებაში, ერთგვარად უმსუბუქებდა რუსთაველის თეატრში მისულ მაყურებელს უმძიმეს ყოფას. ამასთანავე, ეს მაღალმხატვრული დადგმები იყო და სწორედ ამ რანგის წარმოდგენებად დარჩა ქართული თეატრის ისტორიაში.

**უმათავრესი შედეგი** ის არის, რომ კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად, დიმიტრი ალექსიძის თანამედროვეთა მოგონებების და თეატროლოგთა ციტატების და რუსთაველის თეატრის მუზეუმის ექსპონატების ანალიზით შეიქმნა ერთიანი სურათი

დიმიტრი ალექსიძის გოლდონიადისა, როგორც განსაკუთრებული მოვლენისა ქართულ სათეატრო ხელოვნების ისტორიაში, რომელის კვალიც დღემდე მოყვება ჩვენს კულტურას.

კიდევ ერთი შედეგი, რომელიც ჩემთვის, როგორც ლექტორისთვის ძალიან მნიშვნელოვანია: თანამედროვე ახალგაზრდები პრაქტიკულად არ იცნობენ დიმიტრი ალექსიძის შემოქმედებას. ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი შესანიშნავი რეჟისორის, დიმიტრი (დოდო) ალექსიძის შემოქმედებით ახალგაზრდების დაინტერესება იქნება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

ბუხნიკაშვილი, გ. (1946). ორი ბატონის მსახური რუსთაველის სახელობის თეატრში. „ზარია ვოსტოკა“. N 91.

გურაბანიძე, ნ. (2010). დიდი დოდო. საქართველოს რესპუბლიკა. 2010-03-06. <http://www.opentext.org.ge/index.php?m=12&y=2010&art=5837>

თუმანიშვილი, მ. (1978). კრებული „დიმიტრი ალექსიძე“, თბილისი.

ვასაძე, ა. (1978). დიმიტრი ალექსიძე. კრებული „დიმიტრი ალექსიძე“. თბილისი.

კიკნაძე, ვ. (1978). შემოქმედების დიდ გზაზე, კრებული „დიმიტრი ალექსიძე“, საქართველოს თეატრალური საზოგადოება. თბილისი.

ურუშაძე, ნ. (1978). ერთი მივიწყებული სპექტაკლის შესახებ, კრებული „დიმიტრი ალექსიძე“. თბილისი.

ტოვსტონოგოვი, გ. (1978). კრებული „დიმიტრი ალექსიძე“. თბილისი.

### REFERENCES:

bukhnik'ashvili, g. (1946). ori bat'onis msakhuri rustavelis sakhelobis teat'rshi. „zaria vost'ok'a“. N 91.

gurabanidze, n. (2010). didi dodo. sakartvelos resp'ublik'a. 2010-03-06. <http://www.opentext.org.ge/index.php?m=12&y=2010&art=5837>

tumanishvili, m. (1978). k'rebuli „dimit'ri aleksidze“, sakartvelos teat'raluri sazogadoeba, tbilisi.

vasadze, a. (1978). dimit'ri aleksidze. k'rebuli „dimit'ri aleksidze“. Tbilisi.

k'ik'nadze, v. (1978). shemokmedebis did gzaze, k'rebuli „dimit'ri aleksidze“, Tbilisi.

urushadze, n. (1978). erti mivits'qebuli sp'ekt'ak'lis shesakheb, k'rebuli „dimit'ri aleksidze“. Tbilisi.

t'ovst'onogovi, g. (1978). k'rebuli „dimit'ri aleksidze“. Tbilisi.